



ნარკოპოლიტიკა საქართველოში

2020 წლის ტენდენციები

ნარკოპოლიტიკის 2020 წლის ანგარიში

სოციალური სამართლიანობის ცენტრი
თბილისი, 2021



სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი



ლია
საზოგადოების
ფონდი



OPEN SOCIETY
FOUNDATIONS

ანგარიში მომზადებულია „ლია საზოგადოების ფონდების“ (OSF) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად არის პასუხისმგებელი „სოციალური სამართლიანობის ცენტრი.“ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას.

ანგარიშის ავტორი: ანი ნასრაშვილი

ანგარიშზე პასუხისმგებელი პირები: გურამ იმნაძე

ყდის დიზაინი: სალომე ლაცაბიძე

ქართული ენის რედაქტორი: მედეა იმერლიშვილი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, სოციალური სამართლიანობის ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 032 2 23 37 06

www.socialjustice.org.ge

info@socialjustice.org.ge

<https://www.facebook.com/socialjustice.org.ge>

| | |
|---|-----------|
| <u>შესავალი</u> | <u>4</u> |
| <u>მეთოდოლოგია.....</u> | <u>4</u> |
| <u>ძირითადი მიგნებები.....</u> | <u>5</u> |
| <u>I. საკანონმდებლო ცვლილებები ნარკოტიკულ საშუალებათა ოდენობებთან დაკავშირებით.....</u> | <u>6</u> |
| <u>II. საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 4 ივნისის განჩინება.....</u> | <u>8</u> |
| <u>III. საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 4 ივნისის განჩინებიდან გამომდინარე პრაქტიკა.....</u> | <u>9</u> |
| <u>IV. ნარკოდანაშაულის სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზი</u> | <u>11</u> |
| 1. სისხლისსამართლებრივი დევნის და გამამტყუნებელი განაჩენის სტატისტიკა..... | 11 |
| 2. საპროცესო შეთანხმებით განხილულ ნარკოტიკულ დანაშაულთა სტატისტიკა | 13 |
| 3. ნარკოლოგიური შემოწმების სტატისტიკა..... | 14 |
| 4. ნარკოტიკულ საშუალებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირთა რაოდენობა | 15 |
| <u>V. 2021 წლის 11 იანვრის ამნისტიის კანონი</u> | <u>16</u> |
| <u>დასკვნა.....</u> | <u>17</u> |

შესავალი

წინამდებარე ანგარიში ნარკოტიკულ დანაშაულებთან მიმართებით მართლმსაჯულების 2020 წლის ტენდენციებს მიმოიხილავს. ანგარიშის მიზანია, შეაჯამოს ქვეყანაში ნარკოვითარების კუთხით არსებული გამოწვევები.

ნარკოპოლიტიკის რეფორმირების კუთხით, ხელისუფლებას სისტემური ნაბიჯები არც გასულ წელს გადაუდგამს. ამის ნაცვლად, საკანონმდებლო ცვლილებები შეეხო ცალკეულ ნარკოტიკულ საშუალებებს, რომელთა ოდენობები ახლებურად მოწესრიგდა. ინიცირებული კანონპროექტის საპარლამენტო განხილვების დროს მმართველმა პარტიამ საჯაროდ გამოხატა პოზიცია 2017 წელს ნარკოპოლიტიკის ფუნდამენტური რეფორმირებისკენ მიმართულ კანონპროექტთან დაკავშირებით და ღიად განაცხადა, რომ მის განხილვას ახალი მოწვევის პარლამენტი აღარ აპირებს.¹ თუმცა, არ გაცხადებულა ხელისუფლების პოზიცია, თუ რა ალტერნატიული ხედვები აქვს ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებულ პრობლემურ კანონმდებლობასთან მიმართებით.

ნარკოპოლიტიკის რეფორმირების თაობაზე ხედვების შემუშავება და საკითხზე საჯარო დისკუსიები პრიორიტეტი არ ყოფილა არც გასული წლის საპარლამენტო საარჩევნო კამპანიის ფარგლებში. ოპოზიციურ პარტიათა წინასაარჩევნო პროგრამებში ეს საკითხი ფრაგმენტულად იყო წარმოდგენილი. მმართველმა პარტიამ, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ კი, ეს თემა სრულიად უგულებელყო.

ნარკოპოლიტიკის სფეროში ქვეყანაში არსებული ვითარების სრული სურათის ასახვის მიზნით, იუსტიციის მინისტრის ბრძანებით გასულ წელს დაფუძნდა ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, რომლის ამოცანაა ნარკოვითარების შესწავლა, პრევენციული, სამედიცინო, რეაბილიტაციის თუ ზიანის შემცირების კუთხით შეფასება და შესაბამისი ანგარიშის მომზადება. ცენტრმა პირველად წარადგინა საქართველოში მოქმედი ნარკოპოლიტიკის შედეგების ამსახველი 2019 წლის ანგარიში.

ნარკოვითარებაზე დაკვირვებაზე, 2020 წელს, სავარაუდოდ, გავლენა იქონია Covid-19-ის გავრცელებასთან დაკავშირებით ქვეყანაში შექმნილმა ვითარებამ და უცნობი დაავადების შეკავების მიზნით სახელმწიფოს მიერ გატარებულმა შემზღუდავმა ღონისძიებებმა. საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის, გადაადგილების შეზღუდვის, კომენდანტის საათის პირობებში, მნიშვნელოვნად შემცირდა ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებით მოქალაქეების მიმართ გატარებული ღონისძიებები - ნარკოტესტირების, სამართალდარღვევების თუ სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებლები.

წინამდებარე დოკუმენტი აანალიზებს ნარკოპოლიტიკის სფეროში გასული წლის ცვლილებებს, სახელმწიფოს მიერ გატარებულ ღონისძიებებს და მართლმსაჯულების მიდგომებს პირთა სისხლისსამართლებრივი დევნიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

მეთოდოლოგია

ანგარიში ეყრდნობა სახელმწიფო უწყებებიდან მიღებულ საჯარო ინფორმაციას, მათ შორის, უზენაესი სასამართლოს, საერთო სასამართლოების, საქართველოს გენერალური პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს აღრიცხულ სტატისტიკურ მონაცემებს

¹ იხ. თეა წულუკიანის განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3sy3XgC>, წვდომის თარიღი: 18.04.2021.

ნარკოტიკულ დანაშაულებთან მიმართებით. დოკუმენტი ასევე აფასებს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 4 ივნისის განჩინების გავლენას პრაქტიკაზე და ანალიზებს სააპელაციო სასამართლოს პრაქტიკას ახლად გამოვლენილი გარემოებების საფუძვლით საქმეთა ხელახალ განხილვასთან დაკავშირებით.

ძირითადი მიგნებები

ნარკოპოლიტიკის სფეროში 2020 წელს მართლმსაჯულების კუთხით შემდეგი დინამიკა გამოიკვეთა:

- ნარკოპოლიტიკის სისტემური რეფორმირების საკითხი კვლავაც არ არის პოლიტიკური დღის წესრიგის ნაწილი. საკითხთან დაკავშირებულ კომპლექსურ პრობლემებზე სახელმწიფოს რეაგირება, არსებითად სისხლისსამართლებრივ ჭრილშია მოქცეული;
- ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებულ მკაცრ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის ინიციატივა შეეხო სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ 8 ნარკოტიკულ ნივთიერებას, რომელთა საკანონმდებლო ოდენობები ახლებურად განისაზღვრა, თუმცა ეს ცვლილება ვერ გააუმჯობესებს ნარკოტიკულ საშუალებათა რეგულარულ მომხმარებელთა სამართლებრივ მდგომარეობას, იგი ფრაგმენტულად მიემართება მხოლოდ დამწყებ/ექსპერიმენტატორ მომხმარებელთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემსუბუქებას;
- უცნობია მმართველი გუნდისა და მეათე მოწვევის პარლამენტის ხედვა ნარკოპოლიტიკის რეფორმის თვალსაზრისით, თუმცა გადაიდგა ნაბიჯები ამნისტიის გზით, მათ შორის, ნარკოტიკულ დანაშაულებზე მსჯავრდებულ პირთა ნაწილის სასჯელის შემსუბუქებისა თუ პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისკენ;
- მნიშვნელოვნად შემცირდა სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი, ზოგადად ნარკოტიკულ დანაშაულებზე, თუმცა მცირედით (5%-ით) გაიზარდა თავისუფლების აღკვეთის გამოყენება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებზე, რომელიც ნარკოტიკული საშუალების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ქმედებას, მათ შორის, შეძენას, შენახვას, გასაღებას აერთიანებს;
- კიდევ უფრო შემცირდა ნარკოტიკულ დანაშაულზე გამამართლებელი განაჩენის გამოტანის წილი და ის 2020 წელს 0,13%-ს შეადგენს, მაშინ როდესაც 2019 წელს იგივე მაჩვენებელი 0,4% იყო;
- 2019 წელთან შედარებით (10797 პირი), განახევრდა ნარკოტესტირებაზე წარდგენილთა მთლიანი რაოდენობა (4936 პირი). ამასთანავე, გასულ წელს, 2019 წლის მონაცემებთან (64%) შედარებით, მცირედით იკლო ნარკოტესტირებაზე წარდგენილ პირთა შემოწმების დადებითობის მაჩვენებელი (61%). შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავაც არ აღრიცხავს იმულებით ნარკოტესტირებაზე წარდგენილ პირთა მიმართ დაკავების გამოყენების სტატისტიკას;
- მნიშვნელოვნად შემცირდა ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარებისთვის ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირთა რაოდენობა; კვლავაც არ აღირიცხება მონაცემები მარიხუანის ფლობის/საჯარო სივრცეში მოხმარებისთვის ადმინისტრაციულად სანქცირებულთა მიმართ სამოქალაქო უფლებების შეზღუდვის თაობაზე;
- უმნიშვნელოდ შემცირდა საპროცესო შეთანხმებით ნარკოტიკულ დანაშაულთა სტატისტიკური მონაცემები.

1. საკანონმდებლო ცვლილებები ნარკოტიკულ საშუალებათა ოდენობებთან დაკავშირებით

ნარკოტიკულ დანაშაულთა მომწესრიგებელ კანონმდებლობაში 2020 წელს ცვლილებები არ შესულა. მიმდინარე წელს კი, პარლამენტს წარედგინა კანონპროექტი „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“², რომელიც მეათე მოწვევის პარლამენტმა 5 მარტს მესამე მოსმენით მიიღო.

საკანონმდებლო ცვლილებებმა მიზნად დაისახა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული 8 ნივთიერების მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობების ხელახალი მოწესრიგება. ამ ნივთიერებათა შორის მოხვდა ამფეტამინი, დეზომორფინი, ლიზერგინის მჟავა, მდმა, მეთადონი, მეთკანიონი, მეტამფეტამინი, რომლებსაც ცვლილებამდე მოქმედი რედაქციით, მცირე და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის საწყისი ოდენობები არ გააჩნდა. ერთი ნივთიერების - ჰეროინის შემთხვევაში კი - ახლებურად ჩამოყალიბდა განსაზღვრული დოზების მოცულობები.³

ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა ოდენობების სამართლიანი განსაზღვრა წლების განმავლობაში ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა იყო, რაც მოხმარებისთვის უვარგისი, ან პირადი მოხმარებისთვის განკუთვნილი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების ფლობის შემთხვევებშიც კი, უმკაცრესი სასჯელების შეფარდებას იწვევდა. შესაბამისად, საკითხის მოგვარებისკენ მიმართული საკანონმდებლო ორგანოს ინიციატივა თავისთავად დადებით შეფასებას იმსახურებს. ამის მიუხედავად, საკანონმდებლო ცვლილება შინაარსობრივად ხარვეზიანია, მკაცრი ნარკოპოლიტიკით დაზარალებულთა მხოლოდ მცირე ჯგუფის პრობლემებს აღიარებს და ფრაგმენტული ხასიათისაა.

კერძოდ, ცვლილებათა კრიტიკის მთავარი საგანი, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა ოდენობებია. კანონი ნივთიერებათა მოცულობების დადგენისას, ერთჯერადი დოზების ოდენობებს ეპიზოდური მომხმარებლის მაგალითზე განსაზღვრავს და არა რეგულარული მომხმარებლის დღიური დოზის ოდენობის გათვალისწინებით, რაც იმას ნიშნავს, რომ საკანონმდებლო ცვლილება ერთეულ დამწყებ/ექსპერიმენტატორ მომხმარებლებს აღარ მოაქცევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ქვეშ. ხოლო მომხმარებელთა უდიდესი ნაწილი, კვლავ სისხლის სამართლის დევნის სუბიექტად დარჩება. მაგალითისთვის, კანონპროექტში ნივთიერება მდმა-სთვის განსაზღვრულია ოდენობა 50 მილიგრამი. ამავე დროს, ევროპის ნარკოტიკების და წამალდამოკიდებულების მონიტორინგის ცენტრის (EMCDDA) ანგარიშის მიხედვით, ევროპაში მდმა-ს აბში სუფთა ნივთიერების შემცველობა საშუალოდ 125 მილიგრამს შეადგენს. ნივთიერება ჰეროინის შემთხვევაში, რეგულარული და დამოკიდებული მომხმარებლის ერთჯერადი დოზა, ხშირ შემთხვევაში, შეადგენს 50-100 მილიგრამს, ანუ, ახალი კანონით განსაზღვრულ ოდენობაზე 10-20-ჯერ მეტს.⁴

კანონის განმარტებითი ბარათის თანახმად, ოდენობების განსაზღვრისას, ყურადღება გამახვილდა ნივთიერებათა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საზიანო შედეგებზე

² „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3gpCAD1>, წვდომის თარიღი: 18.04.2021.

³ „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 05.03.2021 რედაქცია.

⁴ იხ. სამოქალაქო ორგანიზაციების განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3aiMgLW>, წვდომის თარიღი: 18.04.2021.

და ოდენობის საზომად აღებულ იქნა ნარკოტიკის ეპიზოდური მომხმარებლის მიერ მოხმარებულ ერთ დოზაზე მეტი ოდენობა, რომელიც თითოეული ნივთიერების შემთხვევაში სუფთა სუბსტანციის სახით გამოითვალა. განმარტებით ბარათში მითითებულია, რომ ოდენობათა დაანგარიშების მეთოდი ერთობლივად დაეყრდნო სამეცნიერო ლიტერატურას და ლაბორატორიული ექსპერტიზის პრაქტიკას იმის თაობაზე, თუ როგორი სუბსტანციის ფორმით ხდება ქვეყანაში ნარკოტიკული საშუალების არალეგალური ფორმით ბრუნვიდან ამოღება და ოდენობის გამოთვლა.⁵

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს საერთაშორისო სტანდარტი ნარკოტიკული თუ ფსიქოტროპული ნივთიერებების ოდენობების განსაზღვრის თაობაზე და მას ყველა ქვეყანა საკუთარი შეხედულებისამებრ ადგენს, ცვლილებამ უნდა უზრუნველყოს სამართლიანი ბალანსი ბრუნვიდან ამოღებულ ნივთიერებათა გავრცელების კონტროლსა და მომხმარებლის უფლებებს შორის. ამ თვალსაზრისით, ბუნდოვანია, თუ რა პრინციპით განისაზღვრა დასახელებულ ნივთიერებათა მოხმარების ერთჯერადი დოზები, ამიტომ, ახლებურად ჩამოყალიბებული ოდენობები მოხმარებასთან დაკავშირებული ეფექტის გამომწვევ ოდენობად ვერ მიიჩნევა.

გარდა ამისა, კანონის განმარტებითი ბარათის თანახმად, მოქმედი კანონისგან განსხვავებულად მოწესრიგდება ოდენობები იმ ნარკოტიკულ საშუალებებზე, რომლებიც პრაქტიკაში გავრცელებისა და მოხმარების დიდი სიხშირით გამოირჩევა. მაშინ როდესაც ქვეყანაში დღემდე გამოწვევად რჩება ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების ერთიანად დამუშავება და ამ ინფორმაციის შესაბამისად ნარკოპოლიტიკის დაგეგმვა, გაუგებარია, თუ რა წყაროებსა და კვლევებს ეყრდნობა საკანონმდებლო ინიციატორთა მიდგომა და რა არგუმენტით არ არის ამ ჩამონათვალში სხვა ნარკოტიკული ნივთიერებები, რომელთა მოხმარება ქვეყანაში ასევე მაღალია (მაგალითად ბუპრენორფინი).⁶

კანონპროექტის განმარტებით ბარათში ვკითხულობთ, რომ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა ნაწილის ოდენობების განსაზღვრით დაიხვეწება ბრუნვიდან ამოღებულ ნივთიერებათა ნუსხა და შესრულდება ქვეყანაში მოქმედი ნარკოპოლიტიკის რეფორმირების თაობაზე საერთაშორისო ორგანიზაციის, Human Rights Watch-ის რეკომენდაციები.⁷

აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი საქართველოს მიუთითებს როგორც უმცირესი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერებების ფლობისა და მოხმარების დასჯადობის პრობლემურობაზე, ასევე, ზოგადად ნარკოტიკის მოხმარების დეკრიმინალიზაციასა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიდგომებზე დამყარებული ნარკოპოლიტიკის აუცილებლობაზე,⁸ რაც სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული რამდენიმე ნივთიერების ოდენობის ახლებური მოწესრიგების გარდა, სახელმწიფოს მხრიდან სისტემური და ფუნდამენტური ნაბიჯების გადადგმას მოითხოვს.

⁵ „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის განმარტებითი ბარათი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3gxRd7B>, წვდომის თარიღი: 18.04.2021.

⁶ იხ. სამოქალაქო ორგანიზაციების განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3aiMgLW>, წვდომის თარიღი: 18.04.2021.

⁷ „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის განმარტებითი ბარათი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3gxRd7B>, წვდომის თარიღი: 18.04.2021.

⁸ იქვე.

II. საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 4 ივნისის განჩინება

საკონსტიტუციო სასამართლომ, გასულ წელს, ნარკოპოლიტიკის სფეროში ცვლილებების თვალსაზრისით, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. გადაწყვეტილება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის სიტყვების – „ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე“ – იმ ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობას ეხებოდა, რომელიც სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით, თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას მოხმარებისთვის გამოუსადეგარი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნისა და შენახვისათვის ითვალისწინებს.⁹

მოსარჩელეთა განმარტებით, შპრიცში ანაფხეკის სახით აღმოჩენილი ოდენობით, ერთ შემთხვევაში 0,00000126 გრამი, მეორე შემთხვევაში 0,0003 გრამი ნარკოტიკული საშუალება მეტამფეტამინის შექმნისა და შენახვისათვის სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობა, არღვევდა ადამიანის წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსებისშემლახველი სასჯელის გამოყენების კონსტიტუციურ პრინციპს. სარჩელის მომზადების დროისთვის, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ არაერთ ნივთიერებას, მათ შორის, მეტამფეტამინს, კანონმდებლობა არ განუსაზღვრავდა მცირე ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საწყის ოდენობებს. ამის გამო, მეტამფეტამინის შემთხვევაში, 1 გრამამდე ოდენობის ნებისმიერი დოზა, დიდ ოდენობად კვალიფიცირდებოდა, განურჩევლად იმისა, ოდენობა მოსახმარად ვარგისი იყო თუ არა. ასეთ ვითარებაში, კანონი თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას უშვებდა ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისგან ანდა გავრცელებისგან საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის საჭიროება არ იკვეთებოდა.

მოცემული საკითხის გადაწყვეტისას, საკონსტიტუციო სასამართლო არსებითად დაეყრდნო მოხმარებისთვის გამოუსადეგარი ოდენობით დეზომორფინის ფლობის დასჯადობის არაკონსტიტუციურობის თაობაზე მიღებულ საკუთარ გადაწყვეტილებას.¹⁰ სასამართლომ განმარტა, რომ ამ გადაწყვეტილებით უკვე დამკვიდრებული იყო სტანდარტი, რომლის თანახმადაც, სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთის გამოყენება იმ ოდენობის ნარკოტიკული საშუალების დამზადების, შექმნისა და შენახვისთვის, რომელიც არ წარმოადგენს მოსახმარად გამოსადეგ ოდენობას, აშკარად არაპროპორციული სასჯელია, და, შესაბამისად, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას. სასამართლოს განმარტებით, ნებისმიერი სხვა სახის ნარკოტიკული საშუალების მოსახმარად გამოუსადეგარი ოდენობით დამზადება, შექმნა და შენახვა არ წარმოშობდა რაიმე ისეთ დამატებით საფრთხეს, რაც მოსახმარად გამოუსადეგარი ოდენობის დეზომორფინის დამზადების, შექმნისა და შენახვის შემთხვევაში არ იარსებებდა.

ხსენებული გადაწყვეტილების თანახმად, არის თუ არა ესა თუ ის ქმედება ნარკოტიკული საშუალების მოსახმარად გამოუსადეგარი ოდენობით შექმნა-შენახვა, კონკრეტული საქმის გარემოების ინდივიდუალური შეფასების შედეგად უნდა დადგინდეს. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ბრალდების მხარის და საქმის განმხილველი სასამართლოს (სათანადო ცოდნის მქონე სპეციალისტის დახმარებით) შესაფასებელია, არის თუ არა აღმოჩენილი ნარკოტიკული საშუალება ანდა ნარკოტიკულ საშუალებათა ნარევი მოსახმარად გამოსადეგი ოდენობა. გადაწყვეტილებამ

⁹ საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 4 ივნისის განჩინება №1/19/1265,1318 საქმეზე, ნოე კორსავა და გიორგი გამგებელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

¹⁰ საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის №1/8/696 გადაწყვეტილება საქმეზე, საქართველოს მოქალაქე ლაშა ბახუტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

საერთო სასამართლოს მიანდო საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი იმ კონსტიტუციური სტანდარტის სათანადო დაცვა და აღსრულება, რომელიც, მოსახმარად გამოუსადეგარი ნარკოტიკული საშუალების შექმნისა და შენახვისათვის, სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენებას გამოიციხავს.

III. საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 4 ივნისის განჩინებიდან გამომდინარე პრაქტიკა

საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 4 ივნისის განჩინებამ უშუალო გავლენა იქონია მსჯავრდებულთა ნაწილზე, რომელთაც სააპელაციო სასამართლოსთვის მიმართვის გზით, ახლად გამოვლენილი გარემოების საფუძველზე განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნის შესაძლებლობა მიეცათ.¹¹

ანგარიშის მიზნებისთვის საინტერესო იყო, თუ რამდენი მსჯავრდებულის განაჩენი გადასინჯა საკონსტიტუციო სასამართლომ უშუალოდ ხსენებული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ, ამ კონკრეტული საფუძველით საქმეთა ხელახალი განხილვის თაობაზე სტატისტიკური მონაცემები არ მოგვანაწოდა, აღრიცხვის მსგავსი საფუძველის არარსებობის მოტივით, თუმცა ზოგადად გვაცნობა, რომ 2020 წელს, სულ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, 84 შუამდგომლობა განიხილა. მათ შორის - 33 დააკმაყოფილა, 2 არ დააკმაყოფილა, 4 განუხილველად დატოვა და 45 დაუშვებლად ცნო.¹²

თბილისის სააპელაციო სასამართლოდან მიღებული ინფორმაციის თანახმად კი, საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 4 ივნისის განჩინების საფუძველზე, სასამართლოს წარედგინა სულ 161 შუამდგომლობა.¹³ შუამდგომლობის განხილვის შედეგები ნაჩვენებია ცხრილში.

| შუამდგომლობა სულ | დაუშვებლად იცნო | დაკმაყოფილდა | ნაწილობრივ დაკმაყოფილდა | არ დაკმაყოფილდა |
|------------------|-----------------|--------------|-------------------------|-----------------|
| 161 | 102 | 30 | 26 | 3 |

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკული აღსრულების თვალსაზრისით, ასევე საინტერესო იყო, თუ რა მიდგომა განავითარა სააპელაციო სასამართლომ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა მოხმარებისთვის გამოსადეგობის შესაფასებლად.

ამ საკითხის შესასწავლად დამუშავდა თბილისის სააპელაციო სასამართლოდან მოწოდებული 60 გადაწყვეტილება, რომელთაგან 58 იყო განჩინება მსჯავრდებულთა შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ, 2 განაჩენი კი -ნარკოტიკული საშუალების ფლობისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობის გაუქმებას შეეხებოდა.¹⁴

დაუშვებლად ცნობილ განჩინებათა ანალიზმა ცხადყო, რომ სასამართლო, განაჩენის გადასინჯვის თაობაზე შუამდგომლობასთან ერთად, ყველა შემთხვევაში ითხოვდა მსჯავრდებულის მიერ სათანადო ცოდნის მქონე სპეციალისტის - ექსპერტის დასკვნას, რომელიც დაადასტურებდა, რომ აღმოჩენილი ნივთიერება მოსახმარად გამოუსადეგარი

¹¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლი.

¹² ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 25 თებერვლის 678-2/10 წერილი.

¹³ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 26.02.2021 №1/1151 წერილი.

¹⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 15 ივლისის 1/3979 წერილი.

ოდენობა იყო. საქმეში ასეთი დასკვნის არარსებობა, ყველა შემთხვევაში შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის საფუძველი გახდა.

რაც შეეხება განხილულ და დაკმაყოფილებულ შუამდგომლობებს - სააპელაციო სასამართლომ ერთ შემთხვევაში იმსჯელა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გავრცელების შესაძლებლობაზე, ნარკოტიკული საშუალების არადამამძიმებელ გარემოებაში ფლობაზე, იმის მიუხედავად, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება ფორმალურად, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების ფლობას შეეხებოდა. სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით პასუხისმგებაში მიცემულ შუამდგომლობის ავტორს წარდგენილი ჰქონდა ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმად, მას მსჯავრი დაედო მინის ე.წ. „ჩიბუხის“ შიდა კედლებზე აღმოჩენილი ნარკოტიკული საშუალება ალფა პეპ (a-PvP)-ს უკანონო ფლობისთვის, თუმცა მისი ოდენობა ექსპერტიზას არ განუსაზღვრავს. ხსენებული ნარკოტიკის ოდენობა არც ბრალდების შესახებ დადგენილებაში და არც განაჩენში მითითებული არ ყოფილა. სააპელაციო პალატამ, ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული ფაქტის საფუძველზე, რომ ნივთიერება მხოლოდ და მხოლოდ ე.წ. „ჩიბუხის“-ის შიდა კედლებზე აღინიშნებოდა, დაასკვნა, რომ საუბარი მოხმარების შედეგად დარჩენილი ნივთიერების კვალზე იყო, რომლის ოდენობა იმდენად მცირე და უმნიშვნელო იყო, რომ მისი დადგენა ქიმიური ექსპერტიზითაც ვერ მოხერხდა.

მოცემულ საქმეში¹⁵ სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ფორმალურად სსკ-ის 260-ე მუხლის პირველ ნაწილზე არ ვრცელდებოდა, მაგრამ ამავე დანაშაულის უფრო მძიმე ფორმით ჩადენის შემთხვევებს შეეხება. სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც, „სადავო ნორმების მსგავსება არა მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით უნდა შეფასდეს, არამედ იმ სამართლებრივი შედეგის მიხედვით, რომელიც შესაძლოა სადავო ნორმებს აერთიანებდეს. ნორმის მხოლოდ ტექსტუალური, რედაქციული ან სხვა ფორმალური განსხვავება ვერ ჩაითვლება არსებით განმასხვავებელ ფაქტორად. სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეაფასებს, არის თუ არა სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის მსგავსი შინაარსის, სადავო ნორმის მიზანმიმართულების, მასში გამოხატული კანონმდებლის ნებისა და სამართლებრივი საშუალებების გათვალისწინებით. შინაარსობრივ მსგავსებასთან გვექნება საქმე არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ნორმა სიტყვასიტყვით იმეორებს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის შინაარსს, არამედ მაშინაც, როდესაც სადავო ნორმაში მოცემული წესი არსებითად მსგავსი სამართლებრივი შედეგის მომტანია“.¹⁶

მოწოდებული მეორე განაჩენით, პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდა 0.000036 გრამი ნარკოტიკული საშუალების, მეტადონის შექენისა და შენახვისთვის მსჯავრდებული, ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, რომელმაც მიუთითა, რომ მოცემული ნივთიერების მინიმალური თერაპიული დოზა 2,5 მილიგრამიდან 5 მილიგრამამდე მერყეობს და მოხმარების გზებზეა (ინტრავენური, ინტრამუსკულარული) დამოკიდებული. მსჯავრდებულისგან ამოღებული ოდენობა კი, ერთჯერადი გამოყენებისთვის ვარგისი დოზა არ ყოფილა.¹⁷

¹⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 6 ივლისის საქმე № 1აგ/67-20 განაჩენი.

¹⁶ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 6 ივლისის საქმე № 1აგ/67-20 განაჩენი.

¹⁷ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 30 ივნისის საქმე №1/ა.გ 61-20 განაჩენი.

IV. ნარკოდანაშაულის სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზი

საანგარიშო პერიოდში, ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი და სხვა ღონისძიებების სტატისტიკური მონაცემები, 2019 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად არის შემცირებული. როგორც უკვე აღინიშნა, ამის მიზეზი ქვეყანაში პანდემიის გამო მოქალაქეთა გადაადგილების შეზღუდვა, სოციალური და სხვა ტიპის აქტივობების მნიშვნელოვანი შეზღუდვა შეიძლება იყოს. ნარკოტიკული დანაშაულისთვის პასუხისგებაში მიცემულთა მნიშვნელოვანი წილი, კვლავაც სხვადასხვა ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენის, შენახვის, მოხმარების და მცენარე კანაფის კულტივირების ქმედებებს უკავშირდება.

2019 წელთან შედარებით, მცირედით არის გაზრდილი თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი სსკ-ის 260-ე მუხლთან დაკავშირებით, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ეს მუხლი სხვადასხვა ქმედებას - შეძენას, შენახვას, გადაგზავნას, გადაზიდვას, გასაღებას აერთიანებს, ხოლო სტატისტიკური მონაცემები ცალკეული ქმედებების მიხედვით არ მოგვეწოდა, რთულია ითქვას, კონკრეტულად რომელ დანაშაულს მიემართება თავისუფლების აღკვეთის მზარდი მაჩვენებელი.

საანგარიშო პერიოდში ასევე შემცირებულია ნარკოტიკულ დანაშაულებზე გამამართლებელ განაჩენთა ისედაც მცირე წილი და თუ ის 2019 წელს 0,4%-ს შეადგენდა,¹⁸ გასულ წელს ეს მონაცემი 0.13%-ია.¹⁹

სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებით, ანგარიშის მიზნებისთვის, 2020 წელს ყურადღება გამახვილდა:

- სისხლისსამართლებრივი დევნის დინამიკაზე;
- ცალკეულ ნარკოტიკულ დანაშაულებზე თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებლებზე;
- პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფ პირთა სტატისტიკაზე;
- ადმინისტრაციული წესით ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისთვის დასჯილ პირთა რაოდენობაზე;
- ჩატარებული ნარკოტესტირების მაჩვენებლებზე;

1. სისხლისსამართლებრივი დევნის და გამამტყუნებელი განაჩენის სტატისტიკა


გასული წლის სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს ნარკოტიკულ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებლის მნიშვნელოვან შემცირებას. მთლიანობაში, სხვადასხვა ტიპის ნარკოტიკულ დანაშაულზე, 2020 წელს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიეცა 2946 პირი²⁰, რაც 2019 წლის (5120 პირი) მონაცემების 57,5%-ია.²¹

¹⁸ ნარკოვიტარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრის ნარკოვიტარების 2019 წლის ანგარიში, გვ. 74.


¹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 23 თებერვლის №3-112-21 წერილის დანართი №1.

²⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 23 თებერვლის №3-112-21 წერილი.

²¹ საქართველოს პროკურატურის 2019 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 4, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3uZGruv>, წვდომის თარიღი: 18.04.2021.



2020 წელს, გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 2591 პირის მიმართ, 4 ბრალდებული კი გამართლდა წაყენებულ ბრალდებაში.²² სისხლისსამართლებრივი დევნის შემცირებისგან განსხვავებით, მცირედით გაზრდილია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის შეფარდების სტატისტიკა სსკ-ის 260-ე მუხლთან მიმართებით. თუ 2019 წელს ხსენებული სასჯელი ამ კონკრეტული მუხლით ბრალდებულთა 29%-ის მიმართ გამოიყენებოდა, 2020 წელს ეს მაჩვენებელი 34%-ს უტოლდება. თუმცა, მთლიანობაში, ნარკოტიკულ დანაშაულებზე თავისუფლების აღკვეთის გამოყენება არსებითად იგივე რჩება (20%), რაც დაახლოებით ყოველი მეხუთე პირის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებას გულისხმობს.




გასული წლის მონაცემებით, თავისუფლების აღკვეთის გარდა, ნარკოტიკული დანაშაულისთვის პასუხისგებაში მიცემულ პირთა დაახლოებით ნახევარს (1230 პირი) შეეფარდა პირობითი მსჯავრი, რაც განსაკუთრებით ჭარბობს ნარკოტიკული ან

²² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 23 თებერვლის №3-112-21 წერილი.

ფსიქოტროპული საშუალების შეძენისა და შენახვის, მცენარე კანაფის კულტივირების შემთხვევებში. ჯარიმა შეეფარდა მსჯავრდებულთა 16,9%-ს, 17,7%-ის მიმართ კი გამოყენებულია საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა.²³ ეს უკანასკნელი განსაკუთრებული სიხშირით ეკისრება მცენარე კანაფის უკანონო შეძენის, შენახვის, გადაზიდვისთვის მსჯავრდებულებს.

ალტერნატიული სასჯელების გამოყენების გასული წლის სტატისტიკური მონაცემები არსებითად არ განსხვავდება 2019 წლის მაჩვენებლებისგან, რომელიც ცხადყოფს, რომ ნარკოტიკული დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პირთა ნახევარი პირობით მსჯავრდებული იყო, 16.6%-ს ჯარიმა, 14.2%-ს კი საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა დაეკისრა.²⁴




2. საპროცესო შეთანხმებით განხილულ ნარკოტიკულ დანაშაულთა სტატისტიკა

ნარკოტიკულ დანაშაულებზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში საპროცესო შეთანხმების წილი ყოველთვის მაღალი იყო. ეს ტენდენცია 2020 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვითაც გრძელდება. გამამტყუნებელ განაჩენთა უდიდესი წილი - 89,6% საპროცესო შეთანხმების გზით არის გამოტანილი.

ცხრილში მოცემული დეტალური ინფორმაცია ცხადყოფს, რომ ეს ინსტიტუტი ყველა ნარკოტიკული დანაშაულის გადასაწყვეტად ინტენსიურად გამოიყენება. 2019 წელს, საპროცესო შეთანხმებით ნარკოტიკულ დანაშაულთა საქმეების დასრულების მაჩვენებელი, გასულ წელთან შედარებით, ოდნავ მეტი - 92% იყო.

²³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 23 თებერვლის №პ-112-21 წერილი.

²⁴ ნარკოვიტარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრის ნარკოვიტარების 2019 წლის ანგარიში, გვ. 75.




3. ნარკოლოგიური შემოწმების სტატისტიკა

შინაგან საქმეთა სამინისტროს გასული წლის სტატისტიკა ნარკოლოგიური შემოწმების თაობაზე ცხადყოფს, რომ ეს მაჩვენებელი, 2019 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად არის შემცირებული. თუ 2019 წელს ამგვარ შემოწმებას 10797 მოქალაქე დაექვემდებარა, გასულ წელს ეს რიცხვი თითქმის განახევრებულია და 4936-ს შეადგენს.

სამართალდამცავთა მხრიდან ნარკოტესტირების პრაქტიკის რადიკალური ცვლილება, შესაძლოა, covid-19-ით მთელი წლის განმავლობაში დაწესებული შეზღუდვებიდან (კომენდანტის საათი, მოქალაქეთა მობილობის შემცირება) გამომდინარეობდეს. ნარკოტესტირებაზე წარდგენილ პირთა შემოწმების დადებითობის მაჩვენებელი დაახლოებით 61%-ია, რაც 2019 წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით (64%) ოდნავ შემცირებულია. შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავაც არ აღრიცხავს მონაცემებს ნარკოლოგიურ გამოკვლევაზე წარდგენილ პირთა მიმართ ადმინისტრაციული დაკავების გამოყენების შესახებ.²⁵

²⁵ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკა, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3dvJh4O>, წვდომის თარიღი: 18.04.2021.



4. ნარკოტიკულ საშუალებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ პასუხისმგებებაში მიცემულ პირთა რაოდენობა

მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალების ფლობის ან მოხმარების პირველ შემთხვევაში, კანონმდებლობა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და სანქციის სახით ჯარიმას, ან 15 დღემდე პატიმრობას ითვალისწინებს.²⁶ 2018 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ, ანალოგიურად ადმინისტრაციულად დასჯადია მცირე ოდენობით მარიხუანის ფლობა ან საჯარო სივრცეში მოხმარება.²⁷

გასული წლის სტატისტიკური მონაცემებით, ნარკოტიკული საშუალების, მათ შორის, მარიხუანის მოხმარებისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა სულ 3168 პირს დაეკისრა.²⁸ ორი შემთხვევის გარდა, როდესაც პასუხისმგებებაში მიცემულ პირებს ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდათ, ყველა სხვა საქმეზე სასამართლომ სანქციის სახით ჯარიმა გამოიყენა. ხსენებულ სამართალდარღვევებზე 2020 წელს პასუხისმგებებაში მიცემულ პირთა რაოდენობა თითქმის ორჯერ ჩამოუვარდება 2019 წლის ანალოგიურ მონაცემებს, რომლის მიხედვით, ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისთვის ჯარიმა ან პატიმრობა ადმინისტრაციული წესით 6325 პირს შეეფარდა.²⁹

გასულ წელს, უზენაესმა სასამართლომ დაიწყო სტატისტიკური მონაცემების განცალკევებული აღრიცხვა მარიხუანის და სხვა ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების საკითხებზე, რაც დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა, მარიხუანის მოხმარებისთვის ადმინისტრაციული წესით პასუხისმგებებაში მიცემულ პირთათვის სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევის შესახებ მონაცემები, კვლავაც არ აღირიცხება.³⁰

წინამდებარე გრაფიკში გამოსახულია ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარებასა და ფლობასთან დაკავშირებული 2020 წლის სტატისტიკური მონაცემები.


²⁶ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლი.

²⁷ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45¹-ე მუხლი.

²⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 23 თებერვლის №3-113-21 წერილი.

²⁹ ნარკოვიტარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრის ნარკოვიტარების 2019 წლის ანგარიში, გვ. 78.

³⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 23 თებერვლის №3-113-21 წერილი.



V. 2021 წლის 11 იანვრის ამნისტიის კანონი

გასული წლის მიწურულს, პარლამენტში დაინიცირდა კანონპროექტი „ამნისტიის შესახებ“, რომელიც, განმარტებითი ბარათის თანახმად, ჰუმანიზმის პრინციპიდან გამომდინარე, მსჯავრდებულთა სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სასჯელისგან მათი გათავისუფლებისკენ მიმართული ნაბიჯი იყო.³¹ საგულისხმოა, რომ მმართველი პარტიის ხსენებული კანონის ინიცირებას რამდენიმე თვით წინ უსწრებდა დამოუკიდებლად, პარლამენტის წევრ ეკა ბესელიას ავტორობით უშუალოდ ნარკოტიკული დანაშაულების ამნისტირების თაობაზე მომზადებული კანონპროექტი, რომელიც IX მოწვევის პარლამენტს არც კი განუხილავს.³²

რაც შეეხება საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან ამნისტიის საკითხს, კანონპროექტის განხილვა დაჩქარებული წესით წარიმართა და პირველად ინიცირებულ რედაქციასთან შედარებით, საბოლოოდ მიღებული კანონი გაფართოებული სახით შეეხო რიგ, დიდწილად ქონებრივ თუ ეკონომიკურ დანაშაულებს. ამნისტიის კანონის ადრესატებს შორის იყვნენ ნარკოტიკული დანაშაულისთვის ბრალდებული თუ მსჯავრდებული პირები.

კანონმა სხვადასხვა ფორმით დაფარა ნარკოტიკის მოხმარებასა და პირადი მოხმარების მიზნით მის შექმნა-შენახვასთან დაკავშირებული ქმედებები. ამნისტიის კანონით განსაზღვრულ ნარკოტიკულ დანაშაულთა ჩამონათვალიდან თავიდანვე გამოირიცხა ნარკოტიკული საშუალების გასაღების ან/და საზღვარზე გადმოტანისთვის გასამართლებულთა სასჯელის შემსუბუქება. ნარკოტიკული ნივთიერების შექმნის, შენახვის, მოხმარების ქმედებებისთვის გასამართლებული პირები გათავისუფლდნენ პასუხისმგებლობისგან, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული

³¹ განმარტებითი ბარათი „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3alnwm8>, წვდომის თარიღი: 18.04.2021.

³² „ამნისტიის შესახებ“ 2020 წლის 16 ივნისის კანონპროექტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3uWylgX>, წვდომის თარიღი: 18.04.2021.

საშუალებების ფლობის შემთხვევებისთვის კი, სასჯელის შემცირების შესაძლებლობა დაწესდა.³³

მიუხედავად იმისა, რომ ამნისტირებას დაქვემდებარებულ ნარკოტიკულ დანაშაულთა წრის გაფართოება პარლამენტის მხრიდან პოზიტიურ შეფასებას იმსახურებს, ხისტი მიდგომა შენარჩუნდა ამნისტირებულ მსჯავრდებულთა დამატებითი სამოქალაქო უფლებების შეზღუდვის საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, ამნისტიის კანონმა, ნარკოტიკული დანაშაულისთვის მსჯავრდებულთათვის სამოქალაქო უფლებების (მათ შორის, ავტოტრანსპორტის მართვის უფლების) აღდგენა ინდივიდუალურ შემთხვევათა განხილვით სასამართლოს პრეროგატივას მიაკუთვნა.³⁴ ამგვარად, შენარჩუნდა ამნისტირებულთათვის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდ ქვეული ტრანსპორტის მართვის უფლებების შეზღუდვის ძალაში დატოვების შესაძლებლობა.

საქართველოს პარლამენტის მიერ 2021 წლის 11 იანვარს მიღებული ამნისტიის აქტი, სხვადასხვა მოცულობით, მთლიანობაში 11036 პრობაციონერს შეეხება, რომელთაგან 477 ქალია, 68 კი - არასრულწლოვანი მსჯავრდებული. პრობაციის სააგენტომ სასამართლოსთვის ყველა მათგანის საქმის გაგზავნა იანვრის მიწურულს დაასრულა, თუმცა პრობაციონერებზე ამნისტიის გავრცელების საბოლოო გადაწყვეტილებას სასამართლო ინდივიდუალურად იღებს. პირველი თებერვლის მდგომარეობით, პრობაციის ბიუროებში აღრიცხვაზე მყოფ იმ მსჯავრდებულთაგან, ვისაც ამნისტია უკვე შეეხო, 470 პრობაციონერი გასამართლებულია საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ მიმართული ისეთი დანაშაულებისთვის, როგორცაა: ნარკოტიკული დანაშაული, ავტოსაგზაო შემთხვევა.³⁵

ამნისტიასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი გამოწვევა იქნება პენიტენციური დაწესებულებებიდან გამოსული პირების მხარდაჭერა და მათთვის დასაქმების, სოციალური და ჯანდაცვითი სერვისების შეთავაზება. სისხლის სამართლის სისტემაში მოხვედრილ პირთა რესოციალიზაციის კუთხით სახელმწიფოს პოლიტიკა და მიდგომები არსებითად საჭიროებს გაძლიერებას. არსებულ რთულ სოციალურ-ეკონომიკურ კონტექსტში, რომელსაც გლობალური პანდემია კიდევ უფრო ამძიმებს, კიდევ უფრო მწვავედ ჩნდება ყოფილ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სხვადასხვა ფორმით მხარდაჭერის საჭიროება. ამ ფონზე, როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა სტრუქტურამ, ერთობლივი მუშაობით, მაქსიმალური ძალისხმევა უნდა გასწიონ, რომ ამნისტირებულ მოქალაქეებს საზოგადოებაში ღირსეულად დაბრუნების ადეკვატური პირობები შეექმნათ, რათა მათი სრულყოფილი რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია საფრთხის ქვეშ არ დადგეს.³⁶

დასკვნა

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ 2020 წელი ნარკოპოლიტიკის სფეროს სისტემური ცვლილებების თვალსაზრისით, წინა წლებისგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა. ფრაგმენტულმა საკანონმდებლო ცვლილებამ ნარკოტიკულ საშუალებათა ოდენობების ხელახალ განსაზღვრასთან დაკავშირებით, შესაძლოა, შეცვალოს ნარკოტიკული საშუალების ექსპერიმენტატორ მომხმარებელთა სამართლებრივი მდგომარეობა, თუმცა

³³ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონის მე-5, მე-6, მე-7 მუხლები.

³⁴ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონის მე-11 მუხლის მე-4 ნაწილი.

³⁵ დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ 2021 წლის 12 თებერვალს გავრცელებული საჯარო ინფორმაცია, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3sqWZKh>, წვდომის თარიღი: 18.04.2021.

³⁶ იხ. ამნისტიის კანონზე EMC-ის შეფასება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3glQINQ>, წვდომის თარიღი: 18.04.2021.

კანონმდებლობა კვლავაც მკაცრი და რეპრესიულია ნარკოტიკის რეგულარულ მოხმარებელთა მიმართ. მათთვის, ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ან მოხმარების მიზნით შეძენის, შენახვის ქმედებებზე, მკაცრი სისხლისსამართლებრივი რეაგირების გარდა, კვლავაც არ მოქმედებს ალტერნატიული, ზიანის შემცირებაზე ორიენტირებული მიდგომები.

საანგარიშო პერიოდში, პოლიტიკურ აქტორებს საზოგადოებისთვის არ წარუდგენიათ ხედვები ნარკოპოლიტიკის ძირეულ ცვლილებებთან დაკავშირებით. ეს თემა ყურადღების მიღმა დარჩა საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიის დროსაც. თუმცა საკითხის პრობლემურობა ხელისუფლებამ ერთგვარად აღიარა ამნისტიის კანონის ნარკოდანაშაულებზე გავრცელებითა და საკანონმდებლო ცვლილებებით 8 ნარკოტიკული ნივთიერების ოდენობათა ხელახალი განსაზღვრით.

კანონმდებლობისა თუ სასამართლო პრაქტიკის მინიმალური, თუმცა პოზიტიური კუთხით ცვლილებას შეუწყო ხელი საკონსტიტუციო სასამართლოს გასული წლის გადაწყვეტილებამაც, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო მოხმარებისთვის უვარგისი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების ფლობისთვის სასჯელის შეფარდება.

ნარკოტიკულ დანაშაულთა სტატისტიკური მონაცემების თვალსაზრისით, სისხლისსამართლებრივი დევნის თუ ნარკოტესტირების მნიშვნელოვანი კლება, სავარაუდოდ, Covid-19-დან გამომდინარე ქვეყნის არაორდინალურ ვითარებას, გადაადგილების და სხვა უფლებების შეზღუდვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს უკავშირდება. თუმცა, სამართალდამცავთა მნიშვნელოვან ბერკეტად რჩება ნარკოტიკულ დანაშაულთა გამოვლენის და მასთან ბრძოლის პრობლემური საკანონმდებლო ინსტრუმენტები. დასჯაზე ორიენტირებულ ნარკოპოლიტიკასთან ერთად, არსებულ პანდემიურ მწვავე სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაში, გამოწვევაა ნარკოდანაშაულისთვის გასამართლებულთა რესოციალიზაციისა და მხარდაჭერისკენ მიმართული მიდგომების არარსებობაც.